



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი

თბილისის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი გ. ელიავას სახელობის (სსიპ), განათლების და მეცნიერების სამინისტროსი.

დაარსდა 1923 გიორგი ელიავას ინიციატივით, როგორც ბაქტერიოლოგიური ინ-ტი. 1936 გადაკეთდა მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და ბაქტერიოფაგის ინ-ტად. 1952-იდან ვაქცინებისა და შრატების სამეცნ.-კვლ. ინ-ტი ერქვა. 1988 მის ბაზაზე შეიქმნა სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგი“. 90-იან წლებში მოხდა მისი საწარმოო ნაწილის პრივატიზება, ხოლო ინ-ტს ეწოდა ახლანდ. სახელი.

ინ-ტში, პირველად მსოფლიოში, გ. ელიავას და ბაქტერიოფაგების აღმომჩენის ფ. დ'ერელის ხელმძღვანელობით დაიწყო ბაქტერიული ვირუსების ანუ ბაქტერიოფაგების სისტემატიზებული ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა, რაც დღემდე წარმოადგენს ინ-ტის მუშაობის ძირითად მიმართულებას. ინ-ტის მეცნიერთა მიერ შექმნილია პათოგენური და პირობით-პათოგენური ბაქტერიების მუზეუმი და მათ მიმართ აქტ. ბაქტერიოფაგების კოლექცია. შემუშავებულია აგრეთვე მათი პრაქტ. გამოყენების მეთოდოლო. პრინციპები, რის საფუძველზეც შეიქმნა 30-ზე მეტი სამკურნალო, პროფილაქტიკური და სადიაგნოსტიკო ფაგური პრეპარატი. ამჟამად ინ-ტის მიერ დაარსებული კომპანია „ბაქტერიოფაგის ბიოპრეპარატები“ აწარმოებს რამდენიმე სხვადასხვა სახის პოლი- და მონოვალენტურ ბაქტერიოფაგურ პრეპარატს, რ-იც ფართოდ გამოიყენება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ინ-ტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ადამიანის და ცხოველების სხვადასხვა ინფექციის, მ. შ. ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული ბაქტერიებით გამოწვეული ინფექციების ეტიოლოგიური სტრუქტურის შესწავლა და მათ წინააღმდეგ სპეციფ. ბაქტერიოფაგური პრეპარატების შექმნა; ფუნდამენტური გამოკვლევები ბაქტერიოფაგიაში, კერძოდ, ახ. ბაქტერიოფაგების მოლეკულურ-ბიოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა, პატრონ უჯრედთან ურთიერთქმედების მექანიზმების დადგენა; წყლის, საკვების და გარემოს ეკოლ. მონიტორინგი; მცენარეთა დაავადებების ბიოკონტროლის სტრატეგიის შემუშავება ფაგური ტექნოლოგიების საფუძველზე; ადამიანისა და ცხოველების განსაკუთრებით საშიში ბაქტერიული ინფექციების გამომწვევების კვლევა და მათი სანაღმდეგო ბიოლ. პრეპარატების შექმნა.

ინ-ტში ფუნქციონირებს 6 სამეცნ. ლაბორატორია, ბაქტერიოფაგების კოლექცია, კვლევისა და განვითარების განყ-ბა. ინ-ტის თანამშრომლების მიერ დაფუძნებულია გ. ელიავას სახ. ფონდი.

ინ-ტი აქტიურად მონაწილეობს ბიოსაფრთხოების ქართ.-ამერ. პროგრამაში, რეგულარულად იღებს სამეცნ. გრანტებს. ინ-ტის მეცნიერები სისტემატურად აქვეყნებენ სამეცნ. ნაშრომებს ადგილობრივ და რეიტინგულ საერთაშ. ჟურნალებში, მონაწილეობენ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

რ. ადამია
